ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2952608

ნომერი: AR1455377

თარიღი : 12.11.2016

გაცემის თარიღი : 08.12.2016

გაცნობის თარიღი : 08.12.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი მდ.მტკვრის მარცხენა სანაპირო , დგებუაძისა და ხვამლაძის ქუჩებს შორის (ნაკვ.1/20);

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილი ტაველიშვილი პ/ნ 01027069401
- თბილისი II ნავთლუღის დას. V ქ. N 30

ნომენკლატურა :

- მიშენებული - დაშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : მიშენების ლეგალიზება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, მისი ოფიციალური ვებ-გვერდის www.tas.ge მეშვეობით ელექტრონულად წარმოდგენილი #AR1455377 განცხადებით მომართეს, მოქალაქეებმა: მიხეილ ტაველიშვილმა პირ #01027069401 და გურამი მეფარიშვილმა პირ #12003000449 და მოითხოვეს, ქ. თბილისში, დიდუბეში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დგებუაძისა და ხვამლის ქუჩებს შორის მდებარე, შპს „მშვიდობა-91“-ის საკუთრებაში არსებულ #01.13.08.001.020 მიწის ნაკვეთზე, განთავსებულ სხვა ფუნქციის შენობაზე უნებართვოდ მიშენებული-დაშენებული ფართის ლეგალიზება, „პროექტის

შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის თანახმად. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, გადაამოწმა სამსახურის მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია, შეისწავლა #AR1455377 განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განმცხადებელს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმყოფილებაზე შემდეგი გარემოებების გამო:

2015 წლის 24 მარტის მდგომარეობით მომზადებული, სარეგისტრაციო ნომრით #B15062777 სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად, შპს „მშვიდობა-91“-ის (საიდენტიფიკაციო კოდი: #201945039) დირექტორია გურამი მეფარიშვილი პირ #12003000449, რომელიც არის #AR1455337 განცხადების ერთ-ერთი ავტორი.

2012 წლის 14 თებერვალს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, მისი ოფიციალური ვებ-გვერდის www.tas.ge მეშვეობით ელექტრონულად წარმოდგენილი #AR123450 განცხადებით მომართა, მოქალაქე გურამი მეფარიშვილმა პირ #12003000449 და მოითხოვა, ქ. თბილისში, დიდუბეში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დგებუაძისა და ხვამლის ქუჩებს შორის მდებარე, შპს „მშვიდობა-91“-ის საკუთრებაში არსებულ #01.13.08.001.020 მიწის ნაკვეთზე, სხვა ფუნქციის შენობაზე პირველი კლასით გათვალისწინებული სამუშაოს განხორციელების (საჩრდილობლის მოწყობა) შესაძლებლობის დადასტურება, რაც დაკმაყოფილდა სამსახურის 2012 წლის 01 მარტის #65009 გადაწყვეტილებით და განმცხადებელს მიეცა წერილობითი დასტური.

2013 წლის 11 ნოემბერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, მისი ოფიციალური ვებ-გვერდის www.tas.ge მეშვეობით ელექტრონულად წარმოდგენილი #AR1176678 განცხადებით მომართა, მოქალაქე გურამი მეფარიშვილმა პირ #12003000449 და მოითხოვა, სამსახურის 2012 წლის 01 მარტის #65009 გადაწყვეტილებაში ცვლილების და დამატების შეტანა, რაც გამოიხატებოდა ქ. თბილისში, დიდუბეში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დგებუაძისა და ხვამლის ქუჩებს შორის მდებარე, შპს „მშვიდობა-91“-ის საკუთრებაში არსებულ #01.13.08.001.020 მიწის ნაკვეთზე, სხვა ფუნქციის შენობაზე საჩრდილობლის კორექტირებაში, რაც დაკმაყოფილდა სამსახურის 2013 წლის 18 ნოემბრის #998309 გადაწყვეტილებით და განმცხადებელს მიეცა წერილობითი დასტური საჩრდილობელის კორექტირებული ფოტომონტაჟის მიხედვით მოწყობაზე.

2012 წლის 14 თებერვალს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, მისი ოფიციალური ვებ-გვერდის www.tas.ge მეშვეობით ელექტრონულად #AR123450 განცხადებით წარმოდგენილი და
2013 წლის 11 ნოემბერს #AR1176678 განცხადებით წარმოდგენილი ფოტოსურათების ურთიერთშედარებისა და ანალიზის საფუძველზე, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ქ. თბილისში, დიდუბეში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დგებუაძისა და ხვამლის ქუჩებს შორის მდებარე, შპს „მშვიდობა-91“-ის საკუთრებაში არსებულ #01.13.08.001.020 მიწის ნაკვეთზე, განთავსებულ სხვა ფუნქციის შენობაზე 2012 წლის 01 მარტს სამსახურის მიერ #65009 გადაწყვეტილების გამოცემის შემდეგ, განხორციელდა რეკონსტრუქცია, რომელიც „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ს დადგენილების II თავის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს მშენებლობის ერთ-ერთ სახეობას და მასზე არ ვრცელდება საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მოთხოვნები.

2013 წლის 11 ნოემბერს #AR1176678 განცხადებით წარმოდგენილი ფოტოსურათების და #AR1455377 განცხადებაზე თანდართული ფოტოსურათების ურთიერთშედარებისა და ანალიზის საფუძველზე, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ სალეგალიზაციოდ წარმოდგენილ ობიექტზე, 2013 წლის 11 ნოემბერს #AR1176678 განცხადების წარმოდგენის შემდეგ, განხორციელდა რეკონსტრუქცია და სალეგალიზაციოდ წარმოდგენილმა ობიექტმა კიდევ შეიცვალა იერსახე, რაც ნიშნავს იმას, რომ სალეგალიზაციოდ წარმოდგენილმა ობიექტმა 2007 წლის 01 იანვრის შემდეგ ორჯერ შეიცვალა იერსახე, კერძოდ: პირველად 2012 წლის 01 მარტის #65009 გადაწყვეტილების გადაწყვეტილების გამოცემის შემდეგ და 2013 წლის 18 ნოემბერს #998309 გადაწყვეტილების გამოცემის შემდეგ.

„პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს (გარდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მოთხოვნებისა).“ ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზებაზე უარის თქმის შესახებ, თუ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს (გარდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მოთხოვნებისა).“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, როგორც „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო, ვალდებულია ზუსტად და სრულად დაიცვას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–5 მუხლის პირველ ნაწილში ასახული მითითებითი დისპოზიცია, რომლის თანახმადაც, „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება“ და აქედან გამომდინარე, საკითხის განმხილველი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, ვერ მიიღებს საქართველოს კანონმდებლობის, სახელდობრ საქართველოს კანონმდებლობაში შემავალი საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა, რომლის ერთ-ერთ ფუნქციასაც „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენს, „უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღება,“ მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ დააკმაყოფილოს მოქალაქეების: მიხეილ ტაველიშვილის და გურამი მეფარიშვილის განცხადება და არ განახორციელოს ქ. თბილისში, დიდუბეში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დგებუაძისა და ხვამლის ქუჩებს შორის მდებარე, შპს „მშვიდობა-91“-ის საკუთრებაში არსებულ #01.13.08.001.020 მიწის ნაკვეთზე განთავსებულ სხვა ფუნქციის შენობაზე უნებართვოდ მიშენებული-დაშენებული ფართის ლეგალიზება.

დასასრულს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური განმარტავს, რომ მიხეილ ტაველიშვილი არის არაუფლებამოსილი პირი, რადგან წარმოდგენილი არაა მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს მე-5 მუხლის პირველი ნაწილის, 51-ე მუხლის, 52-ე მუხლის, 53-ე მუხლის და მე-100 მუხლის პირველი ნაწილის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის და მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტის და „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

____ არ დაკმაყოფილდეს მოქალაქეების: მიხეილ ტაველიშვილის და გურამ მეფარიშვილის #AR1455377 განცხადება.
____ უარი ეთქვათ მოქალაქეებს: მიხეილ ტაველიშვილს და გურამი მეფარიშვილს ქ. თბილისში, დიდუბეში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დგებუაძისა და ხვამლის ქუჩებს შორის მდებარე, შპს „მშვიდობა-91“-ის საკუთრებაში არსებულ #01.13.08.001.020 მიწის ნაკვეთზე განთავსებულ სხვა ფუნქციის შენობაზე უნებართვოდ მიშენებული-დაშენებული ფართის ლეგალიზებაზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.